

**თანამშრომლობის მემორანდუმი პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო
ადმინისტრირების ეროვნულ სკოლასა და**

საქართველოს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის

თანამშრომლობის მემორანდუმის მონაწილეები არიან:

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც მდებარეობს ნიკვას 13-ში, 4600, ქუთაისი, საქართველო. წარმომადგენელი სკოლის დირექტორი ქალბატონი ქეთევან ჯაყელი

და

სახელმწიფო ადმინისტრირების ეროვნული სკოლა (შემდგომში KSAP), რომელიც მდებარეობს ul. Wawelska 56, 00-922 Warszawa, Polska წარმომადგენელი ბატონი იან პასტვა.

მუხლი 1

თანამშრომლობის სფერო

თანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს განათლების გაუმჯობესებას საჯარო ადმინისტრაციის მოქმედი კადრებისათვის და მათი განვითარების ხელშეწყობას.

მუხლი 2

თანამშრომლობის მეთოდოლოგია

1. თანამშრომლობა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა და KSAP შორის იქნება შემდეგი სახის:

პირობები, პროგრამის განრიგი და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა განიხილება მხარეების მიერ შეთანხმების / ხელშეკრულების საშუალებით, რომლის შემუშავებაც მხარეების მიერ შემდგომში მოხდება.

- ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და მათი გამოქვეყნება;
- პუბლიკაციებისა და პროგრამების ურთიერთგაცვლა, ასევე პერიოდული გამოცემების გაცვლა;

- ერთობლივი კვლევები და ანალიზი საკითხებზე, სადაც მიღწეული შედეგი ორმხრივად სასარგებლო იქნება;
- მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება;
- თეორიული, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა, ასევე მათთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოქვეყნება;
- აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების გაცვლა, მათ მიერ კონფერენციებსა თუ სემინარებში მონაწილეობის მიღება და ლექციების წაკითხვა;
- სტუდენტური ჯგუფების მონაწილეობა კონფერენციებში, ტრენინგებსა და სემინარებში, იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრული იქნება მხარეების შეთანხმების საფუძველზე;
- საჯარო ადმინისტრირების სფეროში სხვა სახის თანამშრომლობა, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებით მოხდება.

2. პირობები, თანამშრომლობის განრიგი და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსურისაკითხები, მხარეებს შორის შემდგომში გაფორმებულ ცალკე შეთანხმებებში აისახება.

მუხლი 3

თანამშრომლობის კოორდინაცია

1. იმისათვის რომ თანამშრომლობა იყოს კოორდინირებული, თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს კოორდინატორი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი:

- ცალკეული შეთანხმებების აღსრულებაზე, ასევე მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის პროგრამების დანერგვაზე;
- ფინანსურ და თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

2. ყოველ წელს, კოორდინატორი, ერთმანეთთან კონსულტაციების შემდეგ, მოამზადებს თანამშრომლობის პროგრამების განხორციელების გეგმას.

3. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დააფინანსოს თავისი მონაწილეობა ამ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

4. ამ დოკუმენტითარც ერთ მხარესარ აქვს უფლებამოსილება მეორე მხარე წარმოადგინოს ან აიღოს ფინანსური ვალდებულება, რომელიც მეორე მხარეს დაეკისრება.

მუხლი 4

მოქმედების ვადა


1. თანამშრომლობის მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის შემდეგ და იდება 5 წლის ვადით.
2. შეთანხმება ექვემდებარება ავტომატურ გაგრძელებას, თუ რომელიმე მხარე ~~ერთი~~^{ხუთი} თვით ადრე, წერილობითი ფორმით არ აცნობებს მეორე მხარეს თავის განზრახვას შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 5

1. ნებისმიერი დავა ან განსხვავებული შეხედულება მემორანდუმის განმარტებასა თუ თანამშრომლობის პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებითუნდა გადაიჭრეს ურთიერთშეთანხმების გზით და მხარეთა შორის მოლაპარაკებით.
2. წინამდებარე შეთანხმებას არ აქვს კომერციული საფუძველი და მხარეებს არავითარ ფინანსურ ვალდებულებებს არ აკისრებს.
3. თანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ექვს ეგზემპლარად ინგლისურ, პოლონურ და ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ინგლისურად 17 ნოემბერს, 2014 წ. ექვსივე ასლს თანაბარი ძალა აქვს. თითოეული მხარე მიიღებს თანამშრომლობის მემორანდუმის სამ (3) ეგზემპლარს. კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ინგლისურ ვერსიას მიენიჭება.

საქართველოს წარმომადგენელი

პოლონეთის წარმომადგენელი



ქალაბატონი ქეთევან ჯაყელი

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლის დირექტორი.



ბატონი იან პასტვა

პოლონეთის სახელმწიფო ადმინისტრირების
ეროვნული სკოლის დირექტორი.